კონკურსის პირობები 21-ე საუკუნის ქართული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სცენარის შექმნა

2015 წლის 10 თებერვალს ცხადდება კონკურსი 21-ე საუკუნეში შექმნილი და გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სცენარის შესაქმნელად, განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2015 წლის 10 ივნისი.

უფლებამოსილი კონკურსანტი

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.

ეროვნულ კინოცენტრში პროექტის განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს პროდიუსერის მიერ, რომელიც შეიძლება იყოს გადასახადის გადამხდელი, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი.

აღნიშნული პირობის დაკმაყოფილება განისაზღვრება როგორც პროდიუსერის საგანაცხადო ვალდებულება.

დაფინანსება

თითოეული გამარჯვებული პროექტი დაფინანსდება 4000 ლარით სცენარის შესაქმნელად (საბიუჯეტო გადასახადის ჩათვლით).

დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა

კომისია გამოავლენს არაუმეტეს 5 გამარჯვებულ პროექტს.

განვითარებული სცენარი

გამარჯვებული პროექტის პროდიუსერმა კინოცენტრს უნდა ჩააბაროს:

1. სცენარის პირველი დრაფტი (ბეჭდური და ელექტრონული ვერსიის სახით);

2. ლოგლაინი;

3. სინოფსისი (1 გვერდი).

სცენარი უნდა ჩაბარდეს არა უგვიანეს 2015 წლის 25 დეკემბრისა. სცენარის მოცულობა არ უნდა იყოს 80 გვერდზე ნაკლები.

კონკურსის ტურები

კონკურსი ტარდება ორ ტურად.

პირველ ტურში საექსპერტო კომისიის წევრები ეცნობიან კონკურსზე შემოტანილ თრითმენტებს და აფასებენ დადგენილი ქულების მიხედვით.

კომისია განსაზღვრავს იმ მინიმალურ ქულათა ოდენობას, რომელიც უნდა მიიღოს თრითმენტმა მეორე ტურში გადასასვლელად.

მეორე ტურში გადავლენ მხოლოდ ის თრითმენტები, რომელთა ქულა აღემატება კომისიის მიერ დადგენილ მინიმალურ ბიჯს.

თრითმენტები, რომლებიც ვერ გადავიდნენ მეორე ტურში, კონკურსს ეთიშებიან. მეორე ტური გულისხმობს ავტორების (პროდიუსერი, სცენარის ავტორი) გასაუბრებას კომისიის წევრების წინაშე.

მეორე ტურის შედეგად კომისიის წევრები აფასებენ პრეზენტაციას და წერენ შესაბამის ქულას.

კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ცალკეული თრითმენტის ქულათა საერთო ჯამის საფუძველზე და წარუდგენს კინოცენტრს დასკვნას გამარჯვებულთა რაოდენობის შესახებ.

სავალდებულო საკონკურსო დოკუმენტაცია:

1. აპლიკაცია <u>(ეროვნული კინოცენტრის მიერ შემუშავებული ფორმით*);</u>

2. ხელშეკრულება ლიტერატურული ნაწარმოების საავტორო უფლებების მფლობელსა და პროდიუსერს შორის ლიტერატურული ნაწარმოების გადამუშავებისა და ეკრანიზაციის უფლების მოპოვების თაობაზე, ასევე ხელშეკრულება პროდიუსერსა და სცენარის ავტორს შორის სცენარის შექმნის თაობაზე;

3. რეჟისორის/სცენარის ავტორის ბიოფილმოგრაფია/ბიოგრაფია და კოორდინატები;

4. პროდიუსერის/სცენარისტის/რეჟისორის ხედვა (წიგნის ანალიზი) ადაპტაციის წარმართვაზე (1-2 გვერდამდე);

5. სინოფსისი (1 გვერდამდე);

6. 21-ე საუკუნეში შექმნილი და გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების 20-25 გვერდიანი თრითმენტი;

7. სცენარისტისა და პროდიუსერის (ფიზიკური პირის შემთხვევაში) პირადობის მოწმობის ასლები, რომლებიც ადასტურებენ მათ მოქალაქეობას;

8. ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება ნაწარმოების პირველად გამოცემის თარიღი.

წარმოსადგენი დოკუმენტაციის რაოდენობა

დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას 8 ეგზემპლარად და 1 ცალად ელექტრონული ვერსიის სახით; ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს პროდიუსერის ხელმოწერით.

შეზღუდვები:

ის პროდიუსერები, რომლებიც არ წარმოადგენენ საკონკურსო პირობების შესაბამის დოკუმენტაციას, ვერ მიიღებენ მონაწილეობას კონკურსში.

კონსულტაციები ჩატარდება კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში.

<u>მისამართზე:</u>

<u>ზ. გამსახურდიას სანაპირო №4 –ში, ტელ: 2 999 200; 2 999 102;</u>

საკონტაქტო პირი: სალომე დანელია

ტელეფონი: 59985 07 81; 2 999 200.

ელ. ფოსტა: s.danelia@gnfc.ge

საკონტაქტო პირი: მანანა სურაძე

ტელეფონი: 577 55 37 02; 2 999 200.

ელ. ფოსტა: m.suradze@gnfc.ge